დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 11

ქ. დმანისი 14 სექტემბერი 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4 .აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მიხეილ დაუთაშვილი
10. შალვა ღამბარაშვილი
11. .თეიმურაზ აფრასიძე
12. შოთა აკობაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. გამლეტ ისმაილოვი
16. ემილ იბრაგიმოვი
17. ნატიგ ოვჩიევი
18. მაკა ასლანიშვილი
19 მურაზი აბრამიშვილი
20. გუსეინ ისმაილოვი
21. ლეილა მიქიანი
22 კახა დევნოზაშვილი
23 გუმბათ იუსუბოვი
24 თორნიკე ნინიაშვილი
25 მერაბი ფოლადაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ბექა ლაგურაშვილი , აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 35

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

3	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვლის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**ბ. ლაგურაშვილი**

4.	**განკარგულება:** სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220254 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი:	**ბ. ლაგურაშვილი**

5.	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**მ. აბრამიშვილი**

6.	**განკარგულება:** სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ამბულატორიები) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

7	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა) იპ ,, სოფლის განვითარების სააგენტოსთვის'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი:	**პ. ყულიაშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტების განხორციელებისათვის

დანართი N48-ში მითითებული სამუშაოებისათვის დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4389074 ლარი,ნაცვლად 4399454 ლარის,ანუ შემცირდა 10380 ლარის ოდენობით და შესაბამისად შემცირდა

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020202 „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1076,1 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1065,7 ათასი ლარის ოდენობით ანუ შემცირდა 10,4 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს N1574 განკარგულების საფუძველზე „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ"საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის თანხა განისაზღვრა 332,3 ათასი ლარის ოდენობით ანუ შემცირდა 24,0 ათასი ლარის ოდენობით და შესაბამისად შემცირდა;

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020102 „გზების მშენებლობა რეაბილიტაციის"არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი3005,4 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 2981,4 ათასი ლარით ანუ შემცირდა 24,0 ათასი ლარის ოდენობით,ხ ო ლო ნაშთის მიმართვის საფუძველზე გაიზარდა 7,0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვრა 2988,4 ათასი ლარით.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1-ლი აგვისტოს Nგ-109 -109222133 დამტკიცებული დმანისი მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109220252 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილებაშემდეგ ორგანიზაციულ კოდში:

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარ შემოსავლებში ორგანიზაციული კოდი020102 „გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1195,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1015,8 ათასი ლარის ოდენობით ანუ შემცირდა 180,0 ათასი ლარით.

მე-19 მუხლით დამტკიცებულ ორგანიზაციულ კოდის 020501 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 3859,6 ათასი ლარის ნაცვლად, განისაზღვრა 4039,6 ათასი ლარის ოდენობით ანუ გაიზარდა 180,0 ათასი ლარით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული „სხვა შემოსავლები" 2550,0 ათასი ლარის ნაცვლად, განისაზღვრა 2850,0 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 300,0 ათასი ლარი,აღნიშნული ზრდა დაფიქსირდა მიწის იჯარიდან 250,0 ათასი ლარი და მომსახურე ბანკში განთავსებულ თანხაზე დარიცხული პროცენტი 50,0 ათასი ლარი,რაც მიმართული იქნა ქვემოთ მითითებულ ორგანიზაციულ კოდზე:

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 040101 „სკოლამდელი აღზრდის სამსახურის" სუბსიდირება 783,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 848,8 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 65,0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 050201 „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის „ სუბსიდირება 473,6 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 487,1 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 13,5 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 050203 „საბიბლიოთეკო სამსახურის" სუბსიდია 125,0 ათასი ლარის ნაცვლად,განისაზღვროს 129,0 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 4,0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 010102 მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 352,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 387,0 ათასი ლარის ოდენობით, ანუ ზრდამ შეადგინა 35,0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 060206 „ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამის" საქონელი და მომსახურების მუხლი 85,3 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 122,8 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 37,5 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარ შემოსავლებში გათვალისწინებული ორგანიზაციული კოდი 020202 სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის"გრანტის მუხლით განსაზღვრული 2200,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2345,0 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 145,0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 0206 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ღონისძიებების"არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან გადატანილი იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში 98,0 ათასი ლარი,მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან

გამოყოფილი თანხიდან 54,0 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანხიდან 44,0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 0207 „საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 3,4 ათასი ლარი გადატანილი იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში, ხოლო სხვა ხარჯების მუხლში 11,0 ათასი ლარი,რის შემდეგ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 685,2 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 670,8 ათასი ლარის ოდენობით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 0403 „ საჯარო სკოლების“ საქონელი და მომსახურების მუხლი 554,3 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 680,0 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 125,7 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე 2022 წლის 3 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ნაშთიდან დამატებით მიმართული იქნა 6990 ლარი გადასახდელების დასაფარავად და განაწილებული ნაშთი 1507,7 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1514,7 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 7,0 ათასი ლარი და შესაბამისად მიემართა ორგანიზაციულ კოდზე 020102 „გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 30174,6 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: თორნიკე ნინიაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებით და განისაზღვრა 13120.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გადასახადები 10440,5 ათასი ლარი,გრანტები 130,0 ათასი ლარი და სხვა შემოსავლები 2550,0 ათასი ლარი. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 7 ცვლილება,რაც გამოწვეული იყო 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის განაწილებით ერთხელ,საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით გამოყოფილი თანხების ასახვით 3 შემთხვევით და შიდა გადაადგილებით მუხლებს შორის 3 შემთხვევა,რომლის შემდგომ დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 26729,8 ათასი ლარი და გადასახადები განისაზღვრა 10440,5 ათასი ლარით, გრანტები 5931,6 ათასი ლარით,სხვა შემოსავლები 2550,0 ათასი ლარით და წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთიდან 7807,7 ათასი ლარის მიმართვით ხარჯების დასაფარავად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 6 თვის პერიოდში შემოსავლები დაგეგმილი იყო 11832.8 ათასი ლარი,ფაქტიურად შემოსულია 10195,6 ათასი ლარი,ანუ გეგმა შესრულდა 86.2 %-ით. მათ შორის: გადასახადები დაგეგმილი იყო 5374.2 ათასი ლარი,ფაქტიურად შემოსულია 5509.3 ათასი ლარი ანუ გეგმის 102.5 %, გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 4925.4 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 2326.9 ათასი ლარი, ანუ 47.2%, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორცილებლად, გეგმა 524,4 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 381.3 ათასი ლარი,ანუ გეგმა შესრულდა 72,7 %–ით, კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 2411,6 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 831.1ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 34,5%, სპეციალური ტრანსფერი დაგეგმილი იყო 370,0 ათასი ლარი,ფაქტიურად ათვისებულია 198.2 ათასი ლარი, ანუ 53,6 %, ხოლო სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი დაგეგმილი იყო 1620,6 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია 916.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 56,5%-ით. სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 1533.2 ათასი ლარით, ფაქტიურად შემოსულია 2186.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 142,6%–ით, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით

სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 1186,0 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 1392.8 ათასი ლარი, ანუ 117,4%, კომერციულ ბანკში დეპოზიტზე განთავსებულ თანხიდან შემოსულია 130,4 ათასი ლარი,დაგეგმილი თანხის 100,0 ათასი ლარის 130.4 %, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან დაგეგმილი იყო 100.0ათასი ლარი,ფაქტიურად შემისულია 356,8 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რალიზაციიდან შემოსავლები დაგეგმილი იყო 20.0 ათასი ლარი,ფაქტიურად შემოსულია 26,9 ათასი ლარი,ანუ 134,5%,მათ შორის: ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 5.0 ათასი ლარი ფაქტიურად შემოსულია 10.2 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 204%–ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 15.0ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 9.6 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 64%–ით, ჯარიმები, სანქციები და საურავები დაგეგმილი იყო 25.0 ათასი ლარი,ფაქტიურად შემოსულია 69,5 ათასი ლარი ანუ 278%, ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული დაგეგმილი იყო 102.2 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 210,1 ათასი ლარი ანუ გეგმა შესრულდა 205.6%-ით,მათ შორის : ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან შემოსულია 27.9 ათასი ლარი,წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტი სახსრები 179,3 ათასი ლარი და სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 2,9 ათასი ლარი.ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია შემოსავალი 172.9 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელები დაგეგმილი იყო 18590,8 ათასი ლარის ოდენობით,ფაქტიურად ათვისებულია 10491.7 ათასი ლარი ანუ 56,4%, მათ შორის:

>მართველობას და საერთო დანიშნულების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 441.9 ათასი ლარი,ფაქტიურად დაიხარჯა 428,1 ათასი ლარი,ანუ ათვისებული იქნა 96,9 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 1715,7 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 1495,0 ათასი ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 87,1 %-ით. თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღიცხვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 92%, (გეგმა -58,8 ათასი ლარი, ფაქტი - 54,1 ათ. ლარი),ხოლო საერთო დანიშნულების ხარჯები დაგეგმილი იყო 167,8 ათასი ლარი,ფაქტიურად ათვისებულია 144,8 ათასი ლარი,ანუ 86,3%.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 13346,9 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსდა 6030,3 ათასი ლარი,ანუ 45,2% მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა–შენახვაზე დაგეგმილია 3014,6 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსდა 712,7 ათასი ლარი,ანუ 23,6%, წყლის სისტემების განვითარებაზე დაგეგმილია 3145,4 ათასი ლარი,ფაქტიურად შესრულებულია 2424,8 ათასი ლარი, ანუ 77,1%, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაგეგმილია 848,5 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსდა 284,9 ათასი ლარით,ანუ 33,6% შესრულდა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციაზე ასევე მოსახლეობის საკუთარი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილია 2309,4 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსდა 1116,7 ათასი ლარით,ანუ შესრულდა 48,4%, კეთილმოწყობის ღონისძიებები დაგეგმილია 2543,0 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსდა 1341,1 ათასი ლარით,ანუ შესრულებულია 52,7%, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები დაგეგმილი იყო 1036,0 ათასი ლარის ოდენობით,ფაქტიურად დაფინანსდა 13,3 ათასი ლარით ანუ შესრულებულია 1,3% და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების გაწევისათვის დაგეგმილია 450,0 ათასი ლარი,ფაქტიურად შესრულებულია 136,8 ათსი ლარი,ანუ 30,4%.

დასუფთავება და ნარჩენების მართვა დაგეგმილია 497,5ათასი ლარის ოდენობით,ფაქტიურად შესრულებულია 390,5 ათასი ლარის ოდენობით,ანუ 78,5%,მათ შორის: დასუფთავება და ნარჩენების გატანა ააიპ „ კომუნალური სამსახურის“ მეშვეობით ხორციელდება ნარჩენების გატანა და მათი სუბსიდირება დაგეგმილია 437,5 ათასი ლარის ოდენობით,ფაქტიურად დაფინანსებულია 390,5 ათასი ლარით ანუ შესრულებულია 89,3%,ხოლო უპატრონ ცხოველების მოვლითი ღონისძიებების და კაპიტალური დაბანდებების ხარჯები დაგეგმილია 60,0 ათასი ლარი,ხოლო ფაქტიური შესრულება არ განხორციელებულა.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილია 991,2 ათასი ლარი,ფაქტიურად დაფინანსებულია 767,9 ათასი ლარის ოდენობით,მათ შორის: სკოლამდელი დაწესებულებების

ფუნქციონირებისთვის დაგეგმილია 444,1 ათასი ლარი,ფაქტიურად შესრულებულია 410,8 ათასი ლარი,ანუ 92,5%; საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება დაგეგმილია 51,4 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსებულია 48,4 ათასი ლარის ფარგლებში ანუ 94,2%, და საჯარო სკოლების დაფინანსება დაგეგმილია 495,7 ათასი ლარით,ფაქტიურად დაფინანსებულია 293.9 ათასი ლარი ანუ 59.3%.

კულტურა,რელიგია,ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაგეგმილია 790,8 ათასი ლარი,ფაქტიურად ათვისებულია 669,8 ათასი ლარი,ანუ 84,7%. მათ შორის:სპორტული დაწესებულების ხელშეწყობის დაფინანსება დაგეგმილია 135,3 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსებულია 97,3 ათასი ლარით,ანუ 71,9%,სპორტული ღონისძიებები დაგეგმილია 112,6 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსებულია 100,0 ათასი ლარის ფარგლებში ანუ 88,8%, კულტურული სფეროს დაწესებულების ხელშეწყობა

დაგეგმილია 257,3 ათასი ლარით,ფაქტიურად დაფინანსებულია 242,8 ათასი ლარით ანუ 94,4%, კულტურული ღონისძიებები დაგეგმილია 80,0 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსდა 33,2 ათასი ლარით,ანუ 41,5%, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა დაგეგმილია 68,2 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსებულია 63.9 ათასი ლარი.ანუ 93,7%, საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა დაგეგმილია 67,4 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად დაფინანსებულია 62,6 ათასი ლარით,ანუ 92,9% და რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა დაგეგმილია 70,0 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსებულია 70,0 ათასი ლარით ანუ 100%.

მოსახლეობისჯანმრთველობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაგეგმილია 580,2 ათასი ლარით,ფაქტიურად დაფინანსებულია 525,9 ათასი ლარის ფარგლებში ანუ შესრულებულია 90,6%, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯადაცვა დაგეგმილია 36,9 ათასი ლარით,ფაქტიურად შესრულბულია 36,0 ათასი ლარით,ანუ 97.6 % ,ავადმყოფთა სოციალური დაცვა დაგეგმილია 250,0 ათასი ლარით,ფაქტიური შესრულება დაფიქსირდა 224,2 ათასი ლარი ანუ 89,7%, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა დაგეგმილია 190,0 ათასი ლარის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებულია172,1 ათასი ლარის ოდენობით,ანუ 90,6%,სარიტუალო მომსახურება 100% (გეგმა 0,5 ათასი ლარი,ფაქტი 0,5 ათასი ლარი),სათნოების სახლი დაგეგმილია 52,5 ათსი ლარი,ფაქტიურად დაფინანსებულია 49,9 ათასი ლარით,ანუ 95% და ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა დაგეგმილია 50,3 ათასი ლარის ფარგლებში,ფაქტიურად კი შესრულებულია 43,2 ათასი ლარის ოდენობით, ანუ 85,9%.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2022 წლის 6 თვეში გაცემული იქნა ერთჯერადი სახით მრავალშვილიან 19 დედაზე 3800 ლარი, ხოლო ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლების, თივის ზვინების,გარდაცვლილი მოქალაქეების -სარიტუალო ხარჯი, სახალხო დღესასწაულის „ნოვრუზ ბაირამის“დღესთან დაკავშირებით 20 აზერბაიჯანულ ოჯახზე სასაჩუქრე კალათების გადაცემისათვის, სპორტსმენების ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად,ბინის დაქირავებისათვის და სხვა დახმარებების გაწევისათვის ჯამში გაიცა 98,7 ათასი ლარი.სულ საანგარიშო პერიოდში გაიცა 102,5 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი .

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : ბექა ლაგურაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვლის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. **დადგენილების მიღების მიზეზი:**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1]-ე მუხლის მე-6 ნაწილში გაკეთებული შემდეგი ჩანაწერი: „მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის/წევრის უფლებამოსილებებს

ახორციელებს/ახორციელებენ მუნიციპალიტეტის/ მუნიციპალიტეტების შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო/ორგანოები. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, როგორც დამფუძნებელი/წევრი, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ, უძრავი ნივთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ, დაამტკიცოს შესაბამისი იურიდიული პირის წესდება (დებულება), განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები".

2. **დადგენილების მიღების მიზანი:**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვლის N16 დადგენილების, საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისობაში მოყვანა.

3. **დადგენილების ძირითადი არსი:**

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106^1-ე მუხლის მე-6 ნაწილში, კანონმდებლის მიერ გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი: „მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის/წევრის უფლებამოსილებებს ახორციელებს/ახორციელებენ მუნიციპალიტეტის/ მუნიციპალიტეტების შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო/ორგანოები. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, როგორც დამფუძნებელი/წევრი, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ, უძრავი ნივთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ, დაამტკიცოს შესაბამისი იურიდიული პირის წესდება (დებულება), განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები". ვინაიდან დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N35 დადგენილების (დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებში შედის მუნიციპალიტეტის ქონების მართვა და განკარგვა, დღის წესრიგში დადგა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის დებულებაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106^1-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ჩანაწერის ასახვა, რაც დადებითად აისახება შესაბამისი სამსახურის მიერ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებაზე.

4. **დადგენილების სამართლებრივი ანალიზი:**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვლის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტით, ცვლილება შედის N16 დადგენილების მე-3 მუხლში შედის ცვლილება და ემატება „$ი^1$" ქვეპუნქტი, რომლითაც დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველ სტრუქტურულ ერთეულს ენიჭება - მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდების (დებულება) დამტკიცების და მასში ცვლილებების განხორციელების შესახებ წინადადებების და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადების უფლებამოსილება.

ასევე ცვლილება შედის ამავე დადგენილების მე-5 მუხლის პირველ პუნქტში და ემატება „$თ^1$" ქვეპუნქტი, რომლითაც დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულს ენიჭება მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ფინანსური ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ, უძრავი ნივთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წინადადებების და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადების უფლებამოსილება.

ცვლილების პროექტი არ აისახება ბიუჯეტის, როგორც ხარჯვით ასევე შემოსავლების ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : ბექა ლაგურაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220254 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

შევიდეს ცვლილება. „სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220254 განკარგულებით დამტკიცებული დანართ N1-ის მე-2 მუხლში, ამოღებული იქნას განსაზღვრული თანხა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

5. მომხსენებელი : მურაზი აბრამიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე"დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შესატანია შემდეგი ცვლილება:

1. ტენდერებისა და სამუშაოების დასრულების შემდგომ დაჩენილი ეკონომიები შეადგენს 52752 ლარს

N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა	ტენდერისა და სამუშაოების დასრულებლის შედეგად დაფიქსირებული თანხა	გასანაწილებელი ეკონომია
1	სოფ. განთიადის სამუსიკო სკოლის ოთახების რეაბილიტაცია	ადმინისტრაციული შენობები	78203		65862	12341
5	წმინდა ნინოს ჩიხის N1 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	93482		91960	1522
7	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტნუსში მინი სტადიონის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	82160		81218	942
8	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში, მინი სტადიონის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	59870		50169	9701
15	სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი	შენობა ნაგებობები	250000		221754	28246

	რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია					

შპს „ურიშ“-თან შეწყვეტილი ხელშეკრულებიდან „ ქ.დმანისში გორგასლის ქუჩა N1 ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა, სოფ.ზემო კარაბულახის სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ.ამამლოს სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა„ დარჩენილ სამუშაოებზე, რომლის გადაფასების შემდგომ გაიზარდა ღირებულება 130006 ლარით

პუნქტი 22 ქ.დმანისში ავტოსადგურთან ტერიტორიის კეთილმოწყობა დამატებითი სამუშაოების გამო გაიზარდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ფარგლებში 6216 ლარით.

დმანისის მუნიციპალიტეტში 2019-2020-2021 წლის პროექტების დასრულებისთვის პუნქტი 11 დამატებითი სამუსაოების გამო გაიზარდა ხელშეკრულების ღირებულების 10 % ის ფარგლებში 25000 ლარი

გადაფასებული პროექტებზე და დამატებითი სამუშაოების გამო ჯამში საჭიროა 161222 ლარი და გადატანილი იქნა ტენდერისა და სამუშაოების დასრულებლის შედეგად დაფიქსირებული თანხიდან 52752 ლარი, ასევე პუნქტი 21 „ქ. დმანისში ქეთევან დედოფლის ქუჩაზე მდებარე N#3 საბავშვო ბაღთან საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები“ და პუნქტი 30 „სოფ ამამლოში საცალფეხო ხიდის მოწყობა“ იქნა ამოღებული, ვინაიდან აღნიშნულ სამუშაოებზე ტენდერი არ შედგა რამდენჯერმე, ჯამში 102336 ლარი, ხოლო დარჩენილი 6134 დალრი გადატანილი იქნა პუქტ 28 იდან მერიის შენობაში საოფისე ფართების მოწყობა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: თორნიკე ნინიაშვილმა, მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

6. მომხსენებელი : ლერი ბერუშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ამბულატორიები) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საკრებულოს წევრებმა განიხილეს აღნიშნული საკითხი სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში, უძრავ ქონებაზე განთავსებული მოძრავი ქონება (თანდართული დანართების შესაბამისად), დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების:

- სოფელ გუგუთში მდებარე ს.კ 82.02.42.228;
- სოფელ ამამლოში მდებარე ს.კ 82.15.44.336;
- სოფელ ვარდისუბანში მდებარე ს.კ 82.12.47.343;
- სოფელ ირგანჩაიში მდებარე ს.კ 82.03.41.202;

შემდგომში ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ (ს/ნ402157330) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

დანართი თან ერთვის:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

7. მომხსენებელი : პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა) იპ ,, სოფლის განვითარების სააგენტოსთვის'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

ვინაიდან გასული წლების განმავლობაში ააიპ,,სოფლის განვითარების სააგენტო '' სარგებლობდა აღნიშნული ფართით და ამოიწურა ხელშეკრულების ვადა , ამიტომ შემოსულია წერილი სააგენტოდან ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ, გთხოვთ განვიხილოთ წარმოდგენილი პროექტი. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დმანისში წმინდა ნინოს ქუჩა №41-ში მდებარე შენობის (ს.კ.82.01.42.021) პირველ სართულზე მდებარე ორი ოთახი 37,23 კვ.მ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ ,,სოფლის განვითარების სააგენტოს''.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხვა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები

	ID	დასახელება	საინვენტარო ნომერი	ზომის ერთეული	საბალანსო ღირებულება (ცვეთადი ღირებულება)	ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით (ნარჩენი ღირებულება)	
						რაოდენობა	თანხა
	1	2	2	3	4	5	6
1	101427319	სკამი საოფისე	11-04-08-01-01-27/0009		50		50
2	1115931789	მაგიდა	11-04-08-01-01-25/0006		180		180
3	1707712951	მაცივარი	11-04-08-01-01-32/0001		500		458
4	19709906	კარადა	11-04-08-01-01-28/0002		200		200
5	2055253300	სამედიცინო საწოლი	11-04-08-01-01-40/0004		200		200
6	2183286810	სამედიცინო საწოლი	11-04-08-01-01-40/0002		200		200
7	254754601	გამათბობელი	11-04-08-01-01-51/0003		200		200
8	2571466930	სამედიცინო ინვენტარი	11-04-08-01-01-40/0007		150		150
9	292221096	გამათბობელი	11-04-08-01-01-51/0004		200		200
10	3133906511	სამედიცინო საწოლი	11-04-08-01-01-40/0005		200		200
11	3232339729	სკამი საოფისე	11-04-08-01-01-27/0010		50		50
12	4249957828	სკამი საოფისე	11-04-08-01-01-27/0012		50		50
13	4892899537	სიმაღლის საზომი	11-04-08-01-01-51/0001		40		40
14	6152238917	სკამი საოფისე	11-04-08-01-01-27/0005		50		50
15	6460732908	გადასხმის საკიდი	11-04-08-01-01-51/0002		80		80
16	6497651596	სამედიცინო საწოლი	11-04-08-01-01-40/0001		200		200
17	6654977313	შაქრის საზომი	11-04-08-01-01-40/0006		50		50
18	7136935199	მაგიდა	11-04-08-01-01-25/0007		140		140
19	7432978010	სკამი საოფისე	11-04-08-01-01-27/0011		50		50
20	7579088461	მაგიდა საოფისე	11-04-08-01-01-25/0005		300		300
21	8426375817	სასწორი	11-04-08-01-01-51/0005		30		30
22	9638711156	სკამი საოფისე	11-04-08-01-01-27/0013		50		50
23	9864497878	სამედიცინო საწოლი	11-04-08-01-01-40/0003		200		200
24	370069265	ამბულატორია	82.03.41.202		15750	1	15482.25
25	37576652	ამბულატორია	82.15.44.336		45000	1	44235
26	3945993102	ამბულატორია	82.12.47.343		60000	1	58980
27	5993700670	ამბულატორია	82.02.42.228		43560	1	42819.48

სხვა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები

	ID	დასახელება	საინვენტარო ნომერი	ზომის ერთეული	საბალანსო ღირებულება (ცვეთადი ღირებულება)	ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით (ნარჩენი ღირებულება)	
						რაოდენობა	თანხა
	1	2	2	3	4	5	6
1	370069265	ამბულატორია	82.03.41.202		15750	1	15482.25
2	37576652	ამბულატორია	82.15.44.336		45000	1	44235
3	3945993102	ამბულატორია	82.12.47.343		60000	1	58980
4	5993700670	ამბულატორია	82.02.42.228		43560	1	42819.48